ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5858904

ნომერი: AR1884258

თარიღი : 02.03.2022

გაცემის თარიღი : 21.03.2022

გაცნობის თარიღი : 21.03.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 46;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ გაბაიძე პ/ნ 61009001165
- საქართველო, ქალაქი ბათუმი, მამია კომახიძის ქუჩა, N 113, ბინა 36

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 02 მარტის AR1884258 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.72.14.034.992 მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

1. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> .ფოტოსურათების pdf ფაილი : წაროადგინეთ საპროექტო არეალის დღეის მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები, გადაღებული სხვადასხვა რაკურსით, თარიღის ფიქსაციით.
2. ობიექტის ფუნქციური დანიშნულება -> .ფუნქციური დანიშნულება.:-> დეტალურად გაიწეროს და განიმარტოს საპროექტო ობიექტის ფუნქციების შესახებ. გაცნობებთ, რომ თ მხოლოდ კომერციული ფუნქციის ობიექტისთვის ხდება პირობების დადგენა, საჭიროა ნომენკლატურით არჩეულ იქნას 'სავაჭრო ცენტრი'.
3. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე შენობის ან/და ნაგებობის განთავსების სქემა -> სქემის ელექტრონული ფაილი: საპროექტო ობიექტის განთავსება დაკორექტირდეს უკანა ეზოს დანართის შესაბამისად.
4. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია ყვება თრელიგორების არქეოლოგიური უბანში, წარმოსადგენია საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ეროვნულ მუზეუმის თანხმობა სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით
5. საჭიროა დაკორექტირდეს ობიექტის სართულიანობა მიმდებარე განაშენიანების შესაბამისად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაკორექტირდეს ბანერზე ინფორმაცია სართულიანობასთან და სიმაღლესთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე.

აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2022 წლის 02 მარტის AR1884258 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.